

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს ბატონ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, ამავე კოლეჯის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნინო ძაგანიას

2015-2016 სასწავლო წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც ვახორციელებთ კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სასწავლო ნაწილის უფროსს, პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად.

2015-2016 სასწავლო წლისათვის გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულებულია სამუშაოები.

2015 წლის ზაფხულში საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა ორი პროგრამა - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ და „მასაჟისტ-რეაბილიტატორი“. ორივე პროგრამაზე ავტორიზაციის მიღებისა და დამატების სურვილი აისახა თვითშეფასების კითხვარში.

კოლეჯმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია მხოლოდ „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ პროგრამაზე. სამწუხაროდ, ვერ გავიარეთ ავტორიზაცია „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროგრამაზე. კოლეჯს ყველა დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდა, თუმცა კოლეჯს მფლობელობაში არ გააჩნდა მექანო თერაპიის აპარატი, რომლის ღირებულებაც საკმაოდ მაღალია და იმ მომენტისთვის სპორტის კოლეჯს არ ქონდა მისი შეძენის საშუალება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯს არც ქონია ვალდებულება აღნიშნული აპარატი შეეძინა. საკმარისი იყო მისი არსებობა პრაქტიკის ობიექტზე და ეს მოცემულობა არსებობდა სარეაბილიტაციო ცენტ „რეაში“, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი (თუმცა. ავტორიზაციის ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე ვერ დაადასტურა მექანოთერაპიის არსებობა პრაქტიკის ობიექტზე, რადგან მან ვიზიტის პერიოდში არ მოინახულა/დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტი)

2016 წლის გაზაფხულზე კოლეჯმა განახორციელა მიღება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“

გაწერილი გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯში განხორციელდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები აკადემიურ პერსონალს შორის;

სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილესთან ერთად შევამოწმე, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, პედაგოგების მიერ შედგენილი შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საჭირო საგამოცდო საკითხები; სისტემატიურად ვესწრებოდი, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს; ვამოწმებდი სტუდენტთა დასწრებას მეცადინეობებზე; პერიოდულად ვატარებდი სტუდენტების გამოკითხვებს, როგორც ზეპირსიტყვიერს ისე ანკეტირების მეშვეობით, სადაც მათ ეძლეოდათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სასწავლო გარემოსთან მიმართებაში. სტუდენტების გამოკითხვისას ვახდენდი შედეგების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს, მათ განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებას შემდგომში ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

კოლეჯი ამ მომენტისთვის სამი მიმართულების პროგრამას ახორციელებს, ესენია:

- მიმართულებათაშორისი დარგები (მწვრთნელი და სამთო გამყოლი)
- ჯანდაცვა (მასაჟისტი მე-3 საფეხური; მასაჟისტ-რეაბილიტატორი)
- სოციალური მეცნიერებები (კორესპონდენტი მე-3 საფეხური; ონლაინ და ბეჭდური გამოცემების რეპორტიორი)

წლის განმავლობაში კოორდინირებას ვუწევდი პროგრამების გამართულ მუშაობას. ამისათვის მჭიდროდ ვთანამშრომლობდი და უწყვეტ რეჟიმში მქონდა კომუნიკაცია პროგრამების ხელმძღვანელებთან და საგნებისა და მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან და პედაგოგებთან. სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნითა და სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით ვატარებდი გამოკითხვებს, ხელს ვუწყობდი სტუდენტებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას, რისთვისაც კოლეჯში არაერთი ღონისძიება და ტრენინგი ჩატარდა. თითოეული სტუდენტის მიერ საგნობრივ სტანდარტებში მაღალი შედეგების მისაღწევად

იგეგმებოდა დამატებითი ღონისძიებები (ჩამორჩენილ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება, სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვა, და სხვა). მასწავლებელთა ლექციებზე ურთიერთდასწრების ორგანიზება, რეკომენდაციების შემუშავება გამოცდილების გაზიარებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით და სხვა.

სასწავლო ნაწილის უფროსთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად მონიტორინგს ვუწევდით სასწავლო პროცესს, განვიხილავდით შემდეგ საკითხებს:

1. სასწავლო ცხრილის შედგენა/შემოწმება;
2. სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა;
4. ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი;
5. სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში;
6. მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათი პროფესიული ზრდისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით სპორტის კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად პერიოდულად გადიან სხვადასხვა ტრენინგებს, კერძოდ, 2015-2016 სასწავლო წელს კოლეჯის თანამშრომლებმა და პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგები, რომელთა ორგანიზებაშიც აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას.

2016 წელს კოლეჯის პედაგოგებმა (მოდულური პროგრამების პროფესიულმა მასწავლებლებმა) წარმატებით გაიარეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობა. კერძოდ:

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში; 2016 წლის 19,20, 21 სექტემბერი; 18 პედაგოგი

ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთათვის; 2016 წლის 17,18 ნოემბერი; 17 პედაგოგი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი, პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის; 2015წლის 19,22,27 ივნისი; 12 პედაგოგი

ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის; 2015 წლის 14,15 ივლისი; 17 პედაგოგი

პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში შეფასების ინსტრუმენტების განვითარება; 2015 წლის 14,15,16 სექტემბერი; 12 პედაგოგი